CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA
ქართულ ენაზე ითარგმნა
World Vision საქართველოს მიერ, 2020

დარჩი სახლში ითამაშე სახლში

სახალისო აქტივობათა იდეების 30 დღე. ჩაერთეთ, შექმენით, ითამაშეთ, იმოძრავეთ და ისწავლეთ სახლში.
ეფუძნება განმავითარებელი თამაშის პირამიდას.
თამაშის დონეებს ფერების სახით მინიჭებული აქვს კოდები.

თითოეული აქტივობა მოიცავს ინფორმაციას:

აქტივობის შესახებ

რა **გვჭირდება**?

რას ისწავლის **ბავშვი**?

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

©createcatt 2020

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

Thank you to our translation partners
მადლობა პარტნიორებს თარგმნისათვის

World Vision
GEORGIA

Translated in Georgian language by World Vision Georgia, 2020
ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

©createcatt 2020

1

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA
ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

მოამზადეთ საძერწი ცომი სახლში

აქტივობის შესახებ

ეს არის შესანიშნავი საშუალება ბავშვისათვის, შექმნას ისეთ რამ, რასაც გამოიყენებს და რითაც ითამაშებს. დაეხმარეთ მოზელვაში, შემდეგ კი შეუძლია დამოუკიდებლად ითამაშოს ცომით. შეუძლია ძერწოს, დაჭყლიტოს, ორცხობილის ფორმებით დაჭრას, ააშენოს და გამოძერწოს ფიგურები. ფქვილის უბრალო მასა ნელ-ნელა ფუნქციური სათამაშო ნივთი ხდება.

ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ თასში. ერთად აურიეთ ხელებით. ფქვილის დამატებით, მოზილეთ ისეთი ცომი, რომ ის იყოს ნაზი და „ჭყლეტვადი“, არც ძალიან მშრალი და არც ძალიან წებოვანი.

ცელოფანში შეხვეული საძერწი ცომი რამდენიმე კვირის განმავლობაში შეგიძლიათ შეინახოთ მაცივარში. საძერწი ცომი უსაფრთხოა პირში, რადგან მხოლოდ საკვები ინგრედიენტებისგან მზადდება.

რა გვჭირდება?

3 ჩაის კოვზი გამაფხვიერებელი
3 ჩაის ჭიქა ფქვილი
½ ჩაის ჭიქა მარილი
1/2 სუფრის კოვზი ზეთი
1 ჩაის ჭიქა წყალი (ფერადი ცომების დასამზადებლად შეგიძლიათ დაამატოთ ბუნებრივი საკვების საღებავი)

რას ისწავლის ბავშვი?

ისიამოვნებს სხვადასხვა ინგერდიენტების შერევით
ისწავლის თანმიმდევრობას და სამგანზომილებიან თამაშს
განივითარებს შეხების შეგრძნებას, ისწავლის მოულოდნელობის მიღებას
განივითარებს ნატიფ (წვრილ) მოტორიკასა და ხელით მუშაობის უნარებს და განავითარებს მარჯვე ხელებს
თამაშით მოცული განივითარებს ყურადღების კონცენტრირების უნარს

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

ყველა ინგრედიენტი მოამზადეთ წინასწარ. ესაუბრეთ ბავშვს საძერწი ცომის მომზადების პროცესში, დაასახელეთ ინგრედიენტები, დაეხმარეთ წყილის ჩასხმაში, გაზომვაში და მორევაში, მოზელვაში. არა უშავს, თუ ცოტათი ამოიგვანგვლებიან ფქვილში, ბავშვებისთვის ეს სახალისო იქნება.

©createcatt 2020

2

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA
ქართულ ენაზე ითარგმნა
World Vision საქართველოს მიერ, 2020

ჭიტა და დამალობანა

აქტივობის შესახებ

თავიდან უბრალოდ აიფარეთ ხელები სახეზე (ასე დაიმალეთ), შემდეგ გამოჩნდით და დაიძახეთ „ჭიტა“. პატარასთვის ეს თამაში დიდი მხიარულების მომგვრელია და არასოდეს ბეზრდება.
მომდევნო ეტაპზე დასამალად პლედი გამოიყენეთ, მიეცით ბავშვს საშუალება, გიპოვნოთ. შემდეგ გაცვალეთ როლები.

დამალობანასთა თამაში შესაძლებელია სახლში ნებისმიერ ადგილას. ის ავითარებს ბავშვის წარმოსახვას, ლოდინისა და მოლოდინის განცდას და აღვივევებს აღმოჩენებით სიამოვნებას.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

გჭირდებათ რამდენიმე დასამალი ადგილი: საწოლის ქვეშ, ფარდის, კარის და კარადების უკან, პლედი და ბალიში. გაოცდებით რამდენი ადგილის პოვნას შეძლებთ დასამალად.

რას ისწავლის ბავშვი?

ბავშვი ისწავლის თუ როგორ გაუმკლავდეს მოლოდინისა და მოუსვერობის განცდას. როდესაც ელის, რომ უნდა იპოვონ, გამოიმუშავებს მოთმინებასა და მედეგობას სანამ გიპოვნით.
ეს უნარი კარგია ბავშვში შემოქმედებითობის განვითარებისთვისაც.

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

არ გახადოთ თქვენი პოვნა ძალიან რთული როდესაც დაიწყებთ თამაშს. თამაშის იდეა ის არის. რომ მათ გიპოვონ და არა ის რომ ანახოთ, რა კარგად გამოგდით დამალვა. თუ ატყობთ, რომ ბავშვი დაისტრესა მარტო ყოფნით და თავს ცუდად გრძნობს, რომ ვერ გპოულობთ, დროა გამოჩნდეთ და დაიძახოთ „აქ ვარ!“.

3

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA
ქართულ ენაზე ითარგმნა
World Vision საქართველოს მიერ, 2020

უსაფრთხო ადგილის შექმნა

აქტივობის შესახებ

ამ დღეებში, რომელიც სავსეა გაურკვევლობით, ყველა სავარჯიშო კარგია რომელიც ბავშვს ეხმარება თავი იგრძნოს უსაფრთხოდ და დაცულად.

რა არის იმაზე უკეთესი გზა, თუ არა სამალავის (ე.წ. ,,შტაბის“) აშენება. ბავშვებს უყვართ მისი ტყეში, ან ეზოში გაკეთება, თუმცა სახლშიც შეგიძლიათ მისი აგება სახლის ნივთების გამოყენებით. სამალავის და ,,საცოხვრებელი'' სივრცეების შექმნა ავარჯიშებს სახლის შენების და მომავლის აგების უნარებს. ის ასევე ეხმარება ბავშვებს თავი იგრძნონ უსაფრთხოდ. გამოუყავით ბავშვს სივრცე სახლში, სადაც ის შეძლებს სამალავის აშენებას: მაგიდის ქვეშ, მათ საძინებელ ოთახში. მას შეუძლია შექმნას უსაფრთხო სამყარო, თავისი წარმოსახვითი სამყარო მის სათამაშოებთან ერთად, ანდაც, უბრალოდ წაიკითხოს წიგნი უსაფრთხო, მყუდრო სივრცეში.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

სივრცე
პლედები, ბალიშები, საბნის კონვერტები, სკამები, სარჭები/სამაგრები ჩამოცურებადი ნივთების დასამაგრებლად.

რას ისწავლის ბავშვი?

როგორ იგრძოს თავი უსაფრთხოდ
თავდაჯერებულობა
მიკუთვნებულობა
დაგეგმვა, ორგანიზება და პრობლემის გადაჭრა/გამოსავლის ძიება
შემოქმედებითობა და წარმოსახვა

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

შეიძლება თქვენთვის ეს დიდ აურ-ზაურად გამოიყურება, მაგრამ გახსოვდეთ ეს ბავშვისთვის ჯადოსნური ადგილი იქნება. წაახალისეთ ბავშვი შეიტანოს მისი საყვარელი სათამაშოები შიგნით. შეიძლება იქ წახემსებაც მოეწონოს. მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა ააგონ სამალავი. დიდი შანსია საათები გაატარონ ბედნიერად იმ სივრცეში, რომელიც თავად შექმნეს. წაახალისეთ.

4

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA
ქართულ ენაზე ითარგმნა
World Vision საქართველოს მიერ, 2020

შექმენი ამბავი

აქტივობის შესახებ

ეს კიდევ ერთი აქტივობაა, რომელიც ავითარებს წარმოასახვასა და სილაღეს. აარჩიეთ ხუთი სრულიად შემთხვევითი საგანი, რომლებიც გაქვთ სახლში. ეს შეიძლება იყოს სათლი, ქურთუკი, თეფში, ფანქარი და საფულე. დააწყვეთ ეს საგნები თქვენს წინ სთხოვეთ ბავშვს შეთხზას ამბავი, რომელშიც მან ყველა ამ ნივთის დასახელება უნდა გამოიყენოს. ნახეთ, რა საოცარი იდეები მოუვათ.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

საყოფაცხოვრებო ნივთები
იუმორის გრძნობა
დრო

რას ისწავლის ბავშვი?

მოქნილობა და წარმოსახვა
თანმიმდევრობა
წარმოსახვა
ჩარჩოებს მიღმა ფიქრი
ორგანიზებულობა
ენა, მეტაფორების გაგება და შემოქმედებითი აზროვნება

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

მოგონილი ამბების თხრობაში არ არსებობს სწორი და არაწორი. მიეცით ბავშვის წარმოსახვას თავისუფლება. თუ ბავშვს აქვს საყვარელი სათამაშო, შეგიძლით შესთავაზოთ მისი დამატებაც შერჩეულ ნივთებთან ერთად. ეს კარგია იმისათვის, რომ ბავშვმა მეტად მოახდინოს ამბის პერსონალიზება. ამის შემდეგ შეგიძლიათ, სთოხოვთ, დაწეროს, ან დახატოს მისი მოგონილი ამბის ის ნაწილი რომლითაც ყველაზე მეტად ისიამოვნა.

5

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA
ქართულ ენაზე ითარგმნა
World Vision საქართველოს მიერ, 2020

წყლით თამაში

აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა შეიძლება გაკეთდეს აბაზანაში, სათლის, წყის რეზინის მილის (ე.წ. ,,შლანგით“). სახლში მისი განხორციელება შეიძლება სააბაზანო ოთახში, ან სამზარეულოში, ანდა გარეთ სახლის ეზოში, ან აივანზე, - ყველგან სადაც მარტივად შეიძლება იატაკის მომშრალება, ან წყალს შეუძლია მიწაში ჩასვლა. დარწმუნდით, რომ დასველებისას იატაკი მოსრიალებადი არაა. ხელთან ახლოს იქონიეთ პირსახოცი, თუ ბავშვს დაჯდომა ან დადგომა მოუნდა.

იდეა ის არის, რომ ბავშვს საშუალება მისცეთ აქტიურად იმოძრაოს წყალში, იჭყუმპალაოს, აშხაფუნოს, დაესხას და გადაივლოს წყალი. მიეცით ბავშვს საშუალება იმხიალუროს, ხელებისა და ფეხების წყალში ამოძრავებით დააკვირდეს, როგორ იცვლის წყალი ფორმას, მიმართულებას. აღმოაჩენინეთ მათი ხელებისა და ფეხების მოძრაობა, რა ეფექტს ახდენს წყალზე (შხეფები, ტალღები).
აჩვენეთ მათ როგორ ჩაასხან წყალი ერთი სათლიდან მეორეში. როგორ ჩაბერონ ბუშტები საწრუპით, ან როგორ შეაშხეფონ წყალი ტერფებით.

რა გვჭირდება?

ბევრი წყალი
სათლი ან ჯამი/თასი
საწრუპი
პირსახოცი ან ნაჭერი

რას ისწავლის ბავშვი?

გამომწვევი მიზეზი და შედეგი.
როგორ შეიძლება საკუთარი სხეულის გამოყენებით მოახდინონ გავლენა მათ გარშემო არსებულ სამყაროზე.
აღქმა და შესაბამისი რეაგირება.
წინასწარ განჭვრეტა და გაოცება. ვარაუდი.
მოულოდნელობის სიხარული.

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

არ იდარდოთ დასველებაზე, ისაიმოვნეთ თქვენს ბავშვთან ერთად, ისინი ძალიან ბევრს ისწავლაინ ამ აქტივობით. ისე დაგეგმეთ აქტივობა რომ მნიშვნელობა არ ჰქონდეს წყალი რას დაასველებს.
წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ დალაგების პროცესში, ამით ისინი ისწავლიან საკუთარ მოქმედებაზე პასუხიმგებლობის აღებას. ეცადეთ, წინასწარ შეატყოთ როდის იღლება, ან წყინდება თამაში, რომ დალგება-მოწესირგების პროცესი მანამდე დაიწყოთ.

©createcatt 2020

6

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

იმღერე და იცეკვე

აქტივობის შესახებ

იმღერე და იცეკვე ბავშვთან ერთად. მიეცით ბავშს შესაძლებლობა შეიგრძნოს საკუთარი სხეული სივრცეში და ამ დროს თავი კარგად იგრძნოს. არის მიზეზი იმაში, თუ რატომ მოსწონთ ადამიანებს რიტმული მუსიკა: ის აღვიძებს რაღაც სიღრმისეულს მათში.

ერთად იცეკვეთ, მაგალითად, სარკის წინ, შეგიძლიათ ჩაიცვათ განსხვავებულად და ისე იცეკვოთ. მოძებნეთ რჩეული მოძრაობები ინტერნეტში. როცას სახლიდან ვერ გადიხართ ეს დაგეხმარებათ დახარჯოთ ენერგია. დაუკარით/ჩართეთ მუსიკა ხმამაღლა.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

სხვადასხვაგვარი მუსიკა: სწრაფი, ნელი, მშვიდი, მხიარული, კლასიკური და თანამედროვე. შეიძლება შეარჩიოთ რამდენიმე რამ რითაც იცეკვებთ, ბაფთები, მარაოები, ბუმბულები.

Youtube მუსიკისათვის, ცეკვის ილეთების, მოძრაობების შესარჩევად.

თავისუფალი სივრცე ცეკვისთვის და ბევრი ენერგია დასახარჯად.

რას ისწავლის ბავშვი?

განუვითარებს გამოხატვის თავდაჯერებულებას და გამბედაობას, მოქნილობას, მათ გარშემო სამყაროში სხვადასხვა მოვლენებზე რაგირების უნარს. ეს მას უფრო თავდაჯერებულეს გახდის.

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

ზოგი მელოდია უფრო მეტად მოეწონება ბავშვს ვიდრე სხვა. იდეა ის არის, რომ საშუალება მისცეთ მას თავად აარჩიოს მუსიკა. მიაწოდენ სხვადასხვა რიტმები და ხმები, რომ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, მოერგოს ხმებს და სხეულით გამოსახოს სხვადასხვა მოძრაობები, ისე, როგორც მას სურს.

7

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

დაამზადე განსაკუთრებული ყუთი

აქტივობის შესახებ

ეს არის ძალიან კარგი აქტივობა უსაფრთხოების განცდის შექმნაზე მუშაობისას და ბავშვებს უყვართ ის. ბავშვი ყველა მხრიდან აფერადებს ყუთს ნებისმიერ ფერად, რაც მას სურთ. შემდეგ რთავს გარეთა მხარეს. ამის შემდგომ რთავს შიდა მხარეს რაიმე რბილი მასალით და ათავსებს მის საყვარელ ნივთებს შიგნით. ხშირ შემთხვევაში ეს აქტივობა რეალურად აძლევს ბავშვებს მათ სამყაროზე კონტროლის შეგრძნებას და ისინი ნამდვილად ამაყობენ საკუთარი ნამუშევრით.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

ნამცხვრის ყუთი, ან ბურღულეულის ყუთი, ან ერთჯერადი ხელსაწმენდის მუყაოს ყუთი ან ფეხსაცმლის ყუთი.
საღებავები, ფუნჯები, წებო
კოლაჟის/გარეკანის დასამზადებელი მასალები, ნამცხვრის მოსართავი ფერადი ბურთულები, ბრჭყვიალები, სტიკერები, ბუმბულები
ბამბა ან ქაღალდის ხელსაწმენდები.

რას ისწავლის ბავშვი?

თვით-გამოხატვა
სივრცის, განზომილებისა და ფორმების აღქმა
მათემატიკური უნარები, ყუთის მხარეების დათვლისას, მაგალითად..
თვითშეფასება
თავდაჯერებულობისა და მიღწევის განცდა
კონტროლის და უსაფრთხოების შეგრძნება

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

პატარა ასაკის ბავშვებს დაეხმარეთ დაითვალონ ყუთის მხარეები. ესაუბრეთ, როგორ სურთ, მორთონ გარედან და შიგნიდან. შიდა მხარე არის უსაფრთხო, რბილი სივრცე და მათ შეუძლიათ განსაკუთრებული ნივთები შეინახონ მასში. შეანახინეთ ის, როგორც განსაკუთრებული ყუთი, რომელიც ამავდროულად მათი შემოქმედებითობის შედეგი იქნება. ასევე შეგიძლით კითხოთ, რა არის მათთვის ყველაზე სანუკვარი რამ მათ ცხოვრებაში და ისიც შეინახონ/მოიცვან ყუთში.

8

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

ჩურჩულის გადაცემა

რა გვჭირდება?

წყნარი ოთახი სივრცე წრეზე დასაჯდომად
ბავშვები და ზდასრულები, ესმით ერთი ენა.

რას ისწავლის ბავშვი?

მოსმენის უნარი
მოთმინება
როგორ ვისაუბროთ ჩუმად
თვით-კონტროლი
ინტერპრეტირების უნარი

აქტივობის შესახებ

ესაა უბრალო ჯგუფური თამაში ბავშვებისთვის, რომელიც მშვენიერია მოსმენის უნარების განვითარებისთვის. დასვით წრეზე, ერთი ბავშვი მოიფიქრებს მარტივ წინადადებას და ჩასჩურჩულებს მის გვერდით მჯდომს ისე, რომ სხვამ არავინ გაიგოს. დაშვებულია მხოლოდ ერთხელ ჩაჩურჩულება, მსმნელმა უნდა გადასცეს ჩურჩულით მის გვერდით მჯდომს, რაც გაიგო. ბოლო ადამიანი ვინც მოისმენს წინადადებას ხმამაღლა ამბობს მას და ყველა გაიგებს, თუ რამდენად შეიცვალა ის.

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

თუ მოთამაშეთა ჯგუფი მრავალენოვანია წაახალისეთ რომ გამოიყენონ ისინი, ეს მართლაც ეხმარება მოსმენის უნარის განვითარებას და აყალიბებს კომუნიკაციის ცნობიერ გზებს. დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილეობს. დაუშვებელია, ვინმეს დადანაშულება, ან საყვედური, როცა წინადადება არასწორად იქნება გაგებული. ან გადაცემული.. ეს არის მოსმენის სწავლის მხიარული გზა!

©createcatt 2020

9

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე

სახლში სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

შექმენი შემთხვევითი ხელოვნების ნიმუში

აქტივობის შესახებ

ეს არის შესანიშნავი აქტივობა იმისთვის, რომ ბავშვებმა აღმოაჩინონ, რამდენად განსხვავებულად იქმნება ანაბეჭდები და გამოიყენონ თავისი სხეული ხელოვნების შესაქმნელად.

დაასხით საღებავები პლასტმასის თავსახურზე ან დიდ ლანგარზე, შემდეგ გაშალეთ დიდი ზომის ფურცელი. გაზეთის ან ე.წ. „დუბლიაჟის“ ქაღალდი არის მშვენიერი ამისთვის. ამის შემდგომ ბავშვებს მიეცით საყოფაცხოვრებო ნივთები, რომ გადაიტანონ ფურცელზე მისი ანაბეჭდი და გააფერადონ. მიეცით ბევრი განსხვავებული, მასალა სანამ ფურცელი არ დაიფარება და ისინი მზად იქნებიან დასრულებისთვის.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

პლასტმასის თავსახურები ან ლანგარი.
სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი - კვერცხის სათქვეფი, ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი, თმის ჯაგრისი სავარცხელი, მტვრის საწმენდი ბუმბული, ბუზის საკლავი, სარეცხი და სახეხი ჯაგრისები, ფრჩხილის ფუნჯი, - ნებისმიერი რამ რასაც აქვს საინტერესო ფორმა და ზედაპირი.

რას ისწავლის ბავშვი?

მიზეზი და შედეგი, რისკების აღმოჩენა და გაბედვა,
თამაშის და სპონტანურობის უნარი, მოქნილობა, მხიარულება
ბალანსის და კოორდინაციის განვითარება
თანმიმდევრობის უნარები
გაოცება
ყურადღების კონცენტრირების უნარი.

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

ამ აქტივობის შედეგად შეიქმნება საყვარელი შესაფუთი ქაღალდი, მაგრამ არ იდარდოთ, თუ ძალიან გაერთობიან და ყველაფერი დაიხევა და დაიშლება, რადგან ბავშვები ძალიან ბევრს ისწავლიან უშუალოდ პროცესში.უმჯობესია აქტივობა გარეთ გაკეთდეს, ან ისეთ ადგილას, რაც ადვიად დასუფთავდება შემდგომ. ხელთან იქონიეთ ნაჭერი დასუფთავებისთვის.

10

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

მეხსიერების თამაში

აქტივობის შესახებ

ეს არის შესანიშნავი თამაში ბავშვის კოგნიტური უნარების განვითარებისთვის. მისი თამაში შესაძლებელია საყოფაცხოვრებო ნივთების გამოყენებით. მოათავსეთ 10 წინასწარ შერჩეული ნივთი ლანგარზე, მაგალითად, სავარცხელი, სარჭი, კოვზი, ფანქარი და სხვა ნებისმიერი ნივთი. დაფარეთ ისინი ჩაის ტილოთი, ან რამე ნაჭრით, შემდეგ, ბგანათავსეთ ბავშვის წინ. მოხსებით ტილო და ერთი წუთის განმავლობაში მიეცით ბავშვს დრომ რომ დაიმახსოვროს ნივთები.. შემდეგ დაფარეთ, ისევ ნაჭრით და წაიღეთ ლანგარი. მიეცით ბავშვს 2 წუთი, რომ ჩამოწეროს ყველა ნივთი, რომელიც ახსოვს.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

10 ან მეტი ყოველდღიური მოხმარების ნივთი
ფურცელი და ფანქარი
მაგიდა, რომელსაც მიუჯდება ბავშვი

რას ისწავლის ბავშვი?

დაკვირვების უნარი
მეხიერება
წერა
წნეხის ქვეშ მუშაობა - შესანიშნავი საგამოცდო უნარია!
დაგეგმვა და ორგანიზება.

რჩევები საუკეთესო შედეგისთვის

ეს არის კარგი აქტივობა შედარებით უფროსი ასაკის ბავშებისთვის და შესაძლებელია გახდეს ძალიან კონკურენტული, ითამაშეთ რამდენჯერმე, და დააკვირდით, დამახსოვრების რა სტრატეგიებს შეიმუშავებს ბავშვი. აქციეთ ის სახალისოდ, თუ რამდენიმე ბავშვთან ერთად ხართ. შეგიძლიათ შესთავაზოთ, რომ რიგრიგობით მოამზადონ მეხსიერების ნივთების ლანგარი.

11

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა
World Vision საქართველოს მიერ, 2020

სავარჯიშო წრედი შინ

აქტივობის შესახებ

ეს არის აქტივობა ჭარბი ენერგიის სრულად დასახარჯად. აქტივობისათვის აუცილებელია მოვაწყოთ უსაფრთხო სივრცე ხტუნვის, სირბილის, ბალანსის გავარჯიშებისათვის და მოძრაობისათვის. შექმენით დაბრკოლებების წრედი ოთახ(ებ)ში, რომელსაც ბავშვი გაივლის, მაგალითად „კიბეზე არბენა, ბალიშებზე გადაკოტრიალება, სალტოს გაკეთება დივანზე, სამზარეულოს დასაგებზე გადახტომა, ლოგინზე გადაგორება,ა.შ.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

მყარი ავეჯი - მაგ.სკამები;
რბილი ჭილოფები, ბალიშები;
ნებისმიერი ნივთი, რომელიც ბავშვებისათვის
დაბრკოლებების შესაქმნელად გამოდგება.

რას ისწავლის ბავშვი?

ორგანიზება, ბალანსის დაცვა და თანმიმდევრულობა;
თვით-კონტროლი,
სიმარჯვე და კოორდინაცია;
მსხვილი მოტორული უნარების განვითარება;
ვიზუალური დაგეგმვის უნარ;
ყურადღების კონცენტრირება

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის:

მეტი ეფექტისათვის შეგიძლიათ აქტივობაში ჩართოთ სახალისო შეჯიბრის ელემენტები, ან ბავშვს დაუნიშნოთ დრო, რომელშიც სავარჯიშოს თავი უნდა გაართვას. შემდეგ სთხოვეთ გააუმჯობესოს მიღწეული შედეგი; აგრეთვე შესაძლებელია, რიტმისა და სმენის ელემენტების შემოტანა, მაგ: როდესაც შესაძახებთ „გაშეშდი“ უნდა შეწყვიტოს მოძრაობა და განაგრძოს მხოლოდ სათანადო ნიშნის მიღების შემდეგ. ეცადეთ თქვენს სახლში არსებული სივრცე რაც შეილება საინტერესოდ და კრეატიულად გამოიყენოთ დავალებისათვის სათანადო გარემოს მოწყობისას.

12

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

მობილურით შექმნილი ფილმები

აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა ზედა დონის თამაშია, რაც ეხმარება პატარებს საკუთარ თავში კინორეჟისორი აღმოაჩინონ.

თითქმის ყველა სმარტფონს და ტაბლეტს გააჩნია სტოპ-კადრებით მოძრავი ანიმაციის აწყობის ფუნქცია. გამოიყენეთ სახლში არსებული საინტერესო ნივთები რომ შექმნათ 15-30 წამიანი ამბავი ფილმად. შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი ნივთი - ფურცელი, კალამი, ხილი, სამზარეულო აღჭურვილობა, ნებისმიერი რამ, რაც ამბის საინტერესოდ გადმოცემაში დაგეხმარებათ. სთხოვეთ ბავშვებს, მოემზადონ და გადაღების შემდეგ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები. შეგიძლიათ, მეტი მხიარულებისათვის რამდენიმე ასეთი ფილმი გადაიღოთ და საღამოს „ოსკარით დაჯილდოების ცერემონია“ მოაწყოთ.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

სახლში არსებული სხადასხვა საინტერესო ნივთი
სმარტფონი, პლანშეტი, ფოტო აპარატი

რას ისწავლის ბავშვი?

წარმოსახვა და შემოქმედებითობა;
დაგეგმვა და თანმიმდევრულობა;
მოთმინება;
ორგანიზება და ვიზუალიზაცია;
ნატიფი (წვრილი) მოტორიკა.

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

თუ ბავშვს ან მოზარდს დახმარება სჭირდება, შეახსენეთ, რომ ყველა ამბავს აქვს დასაწყისი, განვითარება და დასასრული. თუ ბავშვები ოდნავ მოზრდილები არიან, შეგიძლიათ, შემოქმედებით პროცესში ჩართოთ კომპიუტერი და შედარებით უფრო რთული პროგრამებიც შესთავაზოთ, თუკი ეს შესაძლებელია. თუმცა სმარტფონებიც აბსოლუტურად საკმარისია საოცარი შედეგის მისაღებად, მათი დღევანდელი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

13

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა
World Vision საქართველოს მიერ, 2020

ბალიშებით ბრძოლა

რა გვჭირდება?

ბალიშები და ლოგინის სხვა თეთრეული.გადასაფარებელი,
რომელიც ოდნავ თუ შეილახა, არ იდარდებთ;
თავისუფალი სივრცე ოთახში;
ბავშვები ულევი ენეგიით ☺

რას ისწავლის ბავშვი?

საკუთარი სხეულის ძალების აღქმა;
ფიზიკური ნდობის განცდას სხვა მიმართებით;
კონტროლი და თვითრეგულაცია;
დიდი და ძლიერი გრძნობების გამოხატვა;
საკუთარი სხეულის შეცნობა.

აქტივობის შესახებ

ხშირად ჩვენ ვცდილობთ ხელი შევუშალოთ ბავშვებს ასეთ თამაშში, თუმცა როდესაც სახლში ხართ გამოკეტილი, მსგავსი აქტივობა კარგი საშუალებაა დაგროვილი ენერგიის სრულად დახარჯვისათვის, თუკი არავის არაფერს დაუზიანებს და ძალიან დიდ ხმაურს არ გამოიწვევს. რაც მთავარია, ბავშვებს, ძალიან მოსწონთ ის. მათ შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი ფიზიკური შესაძლებლობები და ,,გადავიდნენ ყირაზე'' და გაერთონ. უმჯობესია ეს საწოლზე გააკეთონ, რომ არ იყოს დაბრკოლებები, აგრეთვე დაცული იყოს ბავშვის უსაფრთხოება.

©createcatt 2020

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

თუ შიშობთ, რომ თამაშისას ბავშვებს ფიზიკურ ზიანი არ მიადგეთ სთხოვეთ მათ, შემოიღონ და დაიცვან წესები აღნიშნულისაგან თავდაცვის მიზნით. სცადეთ, აუხსნათ, რომ თამაში გართობისთვისაა და არა ერთმანეთისათვის ტკივილის ან ზიანის მისაყენებლად. ბავშვები შეეცდებიან თავად გააკონტროლონ და დაარეგულირონ საკუთარი ქცევა, მაგრამ დარჩით მათთან ახლოს, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი არ გრძნობს თავად კარგად და უსაფრთხოდ, სწრაფად შეძლოთ დახმარება, წესების დროულად შეხსენება, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ბოდიშის მოხდა და სიტუაციის გაანალიზებაში დახმარება, თ როგორ გაუმკავდეს პროცესს. ეს ეხმარება ბავშვს თანაგრნობის, თანაგანცდისა და სხვა სოციალური უნარების განვითარებაში.

14

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე სახლში სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

ტყლარწი

აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა დიდწილად სენსორულ განვითარებას უკავშირდება, სადაც ბავშვს შეუძლია შეეხოს და შეიგრძნოს მკვეთრ ფერებში გაფერადებულ ფაქტურას, რომელიც არცთუ ისე მიმზიდველია, მაგრამ პირველივე შეხებისთნავე იქცევა მსუბუქ ბლანტ ჯადოსნობად მათ ხელებში.

მოზრდილ კონტეინერში შეურიეთ ერთმანეთს სიმინდის ფქვილი, საკვები საღებავი და წყალი. უნდა მიიღოთ შესქელებული მასა. მიეცით მოზარდს შესაძლებლობა, ჩაყოს ხელები მიღებულ მასაში და მოჭყლიტოს, დაატყაპუნოს, ამოწელოს იგი, ათამაშოს ხელში შეგრძნებების ბოლომდე გამოსაცდელად. ტყლარწი თითებთან თამაშისას მიიღებს სხვადასხვა ფორმებს, როგორც მაგიდაზე, ისე ჰაერში თამაშისას.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

2 პაკეტი სიმინდის ფქვილი;
2 ფინჯანი წყალი; საკვები საღებავი;
მოზრდილი კონტეინერი;
წინსაფარი.

რას ისწავლის ბავშვი?

მიზეზ-შედეგობრიობის დადგენას;
მოულოდნელი შეგრძნებების მიმართ მიმღებლობის გაზრდას;
განსხვავებულობების შეგრძნებას;
ფაქიზი და მსხვილი მოტორული უნარების გამოყენებას;
ყურადღების მობილიზებას შემოქმედების პროცესში.

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

არასოდეს აიძულოთ ბავშვი მიიღოს მსგავს აქტივობაში მონაწილეობა, რადგანაც ზოგიერთი მათგანისათვის მსგავს ნივთებთან შეხება, შესაძლოა, განსაკუთრებულ გამოწვევასთან იყოს დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში, მიეცით საშუალება დააკვირდნენ აქტივობის მიმდინარეობას და თამაშმა თავად ,,შეიტყუოს" ისინი, რომ შეძლონ პროცესის ბოლომდე გაკონტროლება და მხოლომ მას შემდეგ ჩაერთვა, როდესაც მზად იქნებიან ამისათვის. წაახალისეთ მოზარდი სიტყვებით გამოხატოს შეგრძნებები ან გამოსახოს ისინი ტყლარწით თამაშისას (მაგ: „ღიმილი, „წებოვანი", „გრილი", ა.შ.

15

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

მუსიკალური ქანდაკებები

აქტივობის შესახებ

შესანიშნავი თამაში ენერგიის შემოქმედებითად დასახარჯად. ჩართეთ ბავშვებს საყვარელი მუსიკა და წაახალისეთ იცეკვონ თავისუფლად. შემდეგ მათთვის მოულოდნელად შეაჩერეთ მუსიკა და სთხოვეთ გაშეშდნენ. თუ მუსიკის გაჩერების შემდეგ გაინძრევიან, ტოვებენ თამაშს, ან „კარგავენ სიცოცხლეს“. თამაშში მონაწილე ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია „სიცოცხლეების“ რაოდენობის გაზრდა, თუ გსურთ, რომ თამაში დიდხანს გაგრძელდეს. როდესაც ყველა „სიცოცხლე“ ამოეწურება, ბავშვი ტოვებს თამაშს და გამარჯვებულია ის, ვინც ყველაზე ბოლოს დარჩება თამაშში.

©createcatt 2020

რა დაგვჭირდება?

მუსიკა;
მუსიკის დასაკრავი რაიმე მოწყობილობა;
სივრცე.

რას ისწავლის ბავშვი?

თვითგამოხატვა და მოსმენის უნარი;
თვითრეგულაცია - მოქმედებების მყისიერად შესრულების უნარი, მაგალითად როცა მუსიკა ჩერდება
სხეულის შეცნობა
აჟიტირების კონტროლი, აღტაცების რეგულირება

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

გახადეთ თამაში მაქსიმალურად სახალისო. პატარა ბავშვებს შესაძლოა არ სურდეთ წაგება, ამიტომ დარწმუნდით, რომ აძლევთ შესაძლებლობას, რომ შემდეგ რაუნდში ჩაერთოს, მუსიკის ხელახლა ჩართვისას. თამაში ეხმარება ბავშვს შეგუების (გამძლეობის) უნარების გამომუშავებაში, აღტაცებიდან უძრავ მდგომარეობაში გადასვლისას და პირიქით. როგორც წესი, ბავშვებს თამაშისას უხდებათ წაგებით მოგვრილ იმედგაცრუებასთან გამკლავებაც, მაგრამ მათ მაინც ძალიან უყვართ ეს თამაში და მისით გამოწვეული მრავალფეროვანი გამოცდილებილებები.

16

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision
GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა
World Vision საქართველოს მიერ, 2020

წიგნი ჩემს შესახებ

აქტივობის შესახებ

ეს არის აქტივობა, რომლის გაკეთებაც ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი და შესაძლოა რამდენიმე დღე მოიცვას. თამაშის მიხედვით ბავშვი ადგენს წიგნს საკუთარ თავზე. ერთად აკინძეთ 4-5 ფურცელი, ან გახვრიტეთ და ლამაზი ბაფთით შეკარით. პირველ გვერდზე დაახატინეთ საკუთარი ხელის ანაბეჭდი.

ხელის გულზე უნდა დაიწეროს ბავშვის სახელი და გვარი, ხოლო თითებში ასაკი, საყვარელი ფერი, საყვარელი საჭმელი, იმედი/ოცნება და ისეთი რამ, რაც არ მოსწონს. მეორე გვერდზე განათავსებენ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ მასალას (ნებიესმიერს, რაც მოსწონთ), მესამე გვერდი ეთმობა საკუთარ პორტრეტს, ხოლო მეოთხე - მათთვის საყვარელ მოვლენებს.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

4-5 ცალი A4 ან A3 ფორმატის ფურცელი (თითო ბავშვისთვის თითო ასეთი 4-5 ცალიანი შეკვრა);
ფერადი პასტელები ფაქნტრები, ან მარკერები;
წებო, ლენტი
ძველი ჟურნალ-გაზეთები
მაკრატელი

რას ისწავლის ბავშვი?

თვითგამოხატვა და თავდაჯერებულობა;
მიკუთვნების განცდა და საკუთრი თავის პატივისცემა;
ნატიფი/წვრილი მოტორიკა;
დაგეგმვა და ორგანიზება;
თანმიმდევრულობა; წიგნიერება.

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

ეს აქტივობა დაგეხმარებათ დააკვირდეთ და შეიტყოთ ბევრი ახალი რამ იმის შესახებ, თუ როგორ ხედავს და აღიქვამს თქვენი შვილი მის გარშემო არსებულ სამყაროს. გახსოვდეთ, რომ არ არსებობს შეცდომები და სწორი ნაბიჯები როდესაც საქმე ხელოვნებას ეხება. ესაუბრეთ მათ იმის შესახებ, რასაც ქმნიან და დაუმატეთ ფურცელი, თუ წიგნში რაიმეს დამატების სურვილი გაუჩნდებათ.

17

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

საპნის ბუშტებით თამაში

აქტივობის შესახებ

ბავშვებს უყვართ საპნის ბუშტების გაშვება, მათი ყურება, დადევნება. დასხედით თქვენს ბავშვთან ერთად და გაბერეთ საპნის ბუშტები, შემდეგ კი დააკვირდით მათ საით გაფრინდებიან, როგორ იმოძრავებენ, გახეთქეთ☺

რა გვჭირდება?

საპნის ბუშტები - შეიძლება იყოს სახლში დამზადებული საპნითა და წყლით, ან მაღაზიაში შეძენილი;
საპნის ბუშტების გასაბერი - შეგიძლიათ დაამზადოთ რკინის მავთულისაგან (სხვადასხვა ზომის) სახლის პირობებშიც.

რას ისწავლის ბავშვი?

მიზეზ-შედეგობრიობის დადგენა;
წინასწარგანსაზღვრა;
აღქმა და რეაგირება;
ღეჭვისა და მეტყველებისათვის საჭირო კუნთური მოტირიკა;
პროგნოზირება, მოულოდნელობისგან გაოცება;
ვიზუალურ-სივრცითი უნარების განვითარება, თვალის მიდევნება;
კისრის განვითარება;
ოცნება, წარმოსახვა, ვარაუდი.

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

აქტივობის გაკეთება შეგიძლიათ სააბაზანოში, ოთახში ან ღია ცის ქვეშ. ეცადეთ თამაში მაქსიმალურად სახალისო იყოს პატარასთვის, წაახალისეთ ისინი რომ გამოედევნონ საპნის ბუშტებს, შეეხონ ხელით და ბუშტების გახეთქვისას გამოეცით მხიარული ხმები; აგრეთვე შეგიძლიათ, სთხოვოთ მათ შეეხონ გაბერილ ბუშტებს სხეულის სხვადასხვა ნაწილით იმის მიხედვით თუ რა ზომისაა ბუშტი. დაურთეთ ამ პროცესს მუსიკა ან შექმენით საპნის ბუშტებზე თქვენი საკუთარი სიმღერა.

©createcatt 2020

18

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

ქვაბებისა და ტაფების ორკესტრი

აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა რიტმებისა და მუსიკის შექმნაზეა, თუმცა მხოლოდ საოჯახო ნივთების - ქვაბების, ტაფების, სათლების, კოვზებისა და საწურების გამოყენებით. (შეგიძლიათ გამოიყენოთ ყველაფერი, რაც ხმას გამოსცემს). წაახალისეთ ბავშვი თვითონ მოძებნოს შესაბამისი ნივთები სამზარეულოს კარადაში. შემდეგ კი გამოცადეთ სხვადასხვა რიტმები ერთად, შეუწყვეთ ერთმანეთს სხვადასხვა ხმები, შექმენით ორკესტრი. რაც უფრო მეტი მონაწილე ჰყავს თამაშს, მით უფრო სახალისოა. შეგიძლიათ გაცვალოთ ხოლმე როლები ორკესტრში. ეცადეთ ამ ჟრიამულისას გამოხატოთ სხვადასხვა ემოცია. გაკვირვებული დარჩებით რა სასიამოვნო შეიძლება იყოს მუსიკის შექმნის პროცესი.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

ქვაბები, ტაფები, კოვზები, სათლები - ნებისმიერი საოჯახო ნივთი, რაც საინტერესო ხმას გამოსცემს;
საკვების ჩხირები ან სხვა რაიმე ნივთი სადირიჟოროდ;
ვიდეო ჩამწერი (მაგ. სმარტფონი) - თუ გსურთ რომ ჩაიწეროთ თქვენ მიერ შექმნილი მუსიკა და ან მოუსმინოთ ნამდვილ ორკესტრს შთაგონებისთვის.

რას ისწავლის ბავშვი?

სმენის უნარი, თანმიმდევრულობა;
ბგერების განხვავებისა და განაწილების უნარს;
თვითგამოხატვა; ორგანიზება;
რეგულირება და ყურადღებაის კონცეტირირება დირიჟორის მიყოლისას;
მუსიკის მნიშვნელობის დაფასება

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

გაითვალისწინეთ, რომ ქვაბებისა და ტაფების ორკესტრში სწორი და მცდარი ქმედებები არ არსებობს! გაოცებული დარჩებით, როგორ შეიძენს მუსიკა რიტმებს თავისთავად, მიუხედავად თავდაპირველი ერთი შეხედვით, ქაოტური „ბრაგა-ბრუგისა" ☺. მიეცით ბავშვებს საშუალება თავის ნებაზე დაარტყან ნივთებს საკრავი ჯოხები, იმისათვის, რომ თავად მიაგნონ სასურველ რიტმებს და გამოხატონ საკუთარი გრძნობები.

19

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

ძაფებით ხატვა

აქტივობის შესახებ

ეს კარგი აქტივობაა წერისწინარე უნარების განვითარების ხელშეწყობისათვის, რადგან ამ აქტივობის შესრულებისას ბავშვი ბავშვი გაავარჯიშებს მოტორულ კონტროლს, თვალისა და ხელის კოორდინაციას, ვიზუალური მიყილოლას (თვალის მიდევნებას). პროცესში სახალისოა.

მოამზადეთ პალეტები ან საღებავიანი თეფშები.

დადეთ ფურცელი მაგიდაზე, თუ გაქვთ სკოჩი, კარგი იქნება, რომ სკოჩით ადამაგროთ ფურცელი მაგიდაზე. ჩააწეთ ძაფები საღებავში და გაუსვით ის ფურცელზე. საღებავიანი ძაფების ფურცელზე გასმით, გახახუნებით, მსუბუქად დარტყმით. დაწვეთებით შეიქმნება სხვადასხვა ეფექტები. მიეცით ბავშვს საშუალება თავად აღმოაჩინოს სხვადასხვა სტრატეგიები.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

სხვადასხვა სიგრძისა და სისქის ძაფები, მოხარშული მაკარონი, ფართე ჭურჭელში განთავსებული საღებავები.
ფურცლები
წინსაფარი

რას ისწავლის ბავშვი?

მიზეზ-შედეგობრივი კავშირი;
წვრილი (ნატიფი) მოტორიკა; ვიზუალური მიყოლა
წერის წინარე მოტორული კონტროლი
თანმდიმდევრულობა, ყურადღების კონცენტრაცია
კონტროლი და მოთმინება

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

თუ ბავშვს არ სიამოვნებს საღებავზე შეხება, შეგიძლიათ ძაფებს დაამაგროთ სარჭი, რომლითაც შეძლებს ბავშვი მასზე დამაგრებული ძაფი ფურცელზე გაავლოს, გაუსვას. დააკვირდით რას ქმნის ბავშვი, მაგალითად ხაზებს, მიმდევრობას. შეგიძლიათ გადაკეცოთ ფურცელი და ნახოთ რა ლაქები და ფორმები შეიქმნება შემთხვევით.

მიეცით შესაძლებლობა ბავშვს ცოტა იექსპერიმენტატოროს ფერებით და სხვადასხვა ფაქტურებით

20

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

სხეულის შეცნობა და ბალანსი

რა გვჭირდება?

საწოლი, ბალიშები
დრო და ფიზიკური ძალა

რას ისწავლის ბავშვი?

სხეულის შეცნობა და ბალანსი
ნდობა
ფიზიკური შესაძლებლობების შეცნობა
კომუნიკაცია და წარმოსახვა
ყურადღება და ძალების შეგრძნება

აქტივობის შესახებ

შესანიშავი თამაშია თქვენი და ბავშვის ფიზიკური აქტიურობისათვის, რაც შინ შეგიძლიათ წაითამაშოთ. თამაშისას თქვენ ხდებით ბავშვის ,,ავატარი''. ბავშვი სწავლობს სხეულის ბალანს თქვენს მუხლებზე, ისე, როგორც ეს ფოტოზეა მოცემული. ამ გზით ბავშვი მოგზაურობაში შეგიძლიათ გააქროლოთ. გამოძრავდით მარჯვნივ-მარცხნივ, წინ და უკან. ეს შესაძლოა გადაზარდოთ წარმოსახვით თამაშში: მაგალითად, ვითომ, ბავშვი თვითმფრინავია, სუპერგმირი, რომელიმე ფრინველი, რომელიც მათ სურთ.

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

ეს თამაში შესაძლებელია ითამაშოთ ყველა ბავშვთან, რომელსაც უკვე აქვს ჯდომის ბალანსი, მათ მოსწონთ ამგვარი მოძრაობები, ასევე სიამოვნეთ თქვენ სხეულთან კონტაქტი. მჭიდროდ მოკიდეთ ხელი, დარწმუნდით, რომ კარგად გიჭირავთ და უყურეთ ბავშვის თვალებს. – თუ ბავშვი შეშფოთდა ან შეეშინდა, ასე უმალევე შეამჩნევთ. ძალიან ხშირად მოუნდებათ ბავშვებს ამის თამაში. ამ თამაშის საწოლზე შესრულება უკეთესია, იმიტომ, რომ ასე უფრო უსაფრთხოა ორივესთვის, რაც საშუალებას მოგცემთ თამაში სახალისო და უფრო მრავალფეროვანი გახადოთ.

©createcatt 2020

21

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

სუპერგმირის ფარი

აქტივობის შესახებ

სუპერგმირის თამაში ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ბავშვები გრძნობენ, რომ ვერ აკონტროლებენ სამყაროს მათ გარშემო. ეს თამაში მათ აძლევთ შესაძლებლობას ძლიერებად იგრძნონ საკუთარი თავი და გაუმკლავდნენ სირთულეებს. ეს არის უბრალოდ ერთერთი აქტივობა, რისი გაკეთებაც შეიძლება ამ თემაზე. ბავშვი ამზადებს სუპერგმირის ფარს და ამით ის საკუთარ თავს გამოხატავს, თუ როგორ დაამზადა ეს ფარი, რა მასალები გამოიყენა (სახლში არსებული მასალებიდან) მისი დამზადების დროს. ამ აქტივობას შეიძლება მოყვეს მოთხრობა სუპერგმირზე, ან როლური თამაში, რაც დაეხმარებათ მათ სირთულეებთან გამკლავებაში. ეს არის თავდაჯერებულობისა და თვითშეფასების ამაღლების აქტივობა.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

მუყაოს დაჭრილი ფარის ფორმები (შეიძლება იყოს მარცვლეულის ყუთი ან ნებისმიერი მყარი მუყაოს ბარათივით)
საღებავები, ფერადი ფანქრები და ცარცი
მარკერები
წებო
ნებისმიერი რამ გასაფორმებლად ღილები, ბრჭყვიალა, ბზინავი ქაღალდები, ვერცხლისფერი ქალაღდი ე.წ. ფოლგა

რას ისწავლის ბავშვი?

ვითგამოხატვია
წარმოსახვა
თავდაჯერებულობა
წვრილი (ნატიფი) მოტორიკა
შეცნობა მეტაფორულ ენა

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

სუპერგმირის ფარის დამზადების დროს არ არსებობს სწორი ან მცდარი შედეგი, მიეცით ბავშვს საშუალება გამოხატოს ის, რას მას სურს. დააფასეთ ის, რასაც ის გააკეთებს პროცესში და მერეც, რომ თავი კარგად იგრძნონ. მიეცით შესაძლებლობა ისაუბროს, რა მასალა გამოიყენა ფარის დამზადებისთვის, ეს მათ უფრო თავდაჯერებულებს გახდის. გადაუღეთ სამახსოვრო ფოტო იმ ფართან, რომელიც მათ იცავს.

22

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი სახლში
ითამაშე სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

ანაბეჭდები

აქტივობის შესახებ

ეს შესანიშნავი თამაშია იმისათვის, რომ ბავშვმა აღმოაჩინოს და დააფასოს, თუ რა ხდება მის გარშემო. სახლში ნაპოვნი ნებისმიერი ნივთის გამოყენებით, მიეცით მას საშუალება ჩააწოლ საღებავებში და გააკეთონ ანაბეჭდები. გაოცებული დარჩებით იმ ნამუშევრებით, რასაც ბავშვები ყოველდღიური ნივთების ანაბეჭდებით შექმნიან. შეგიძლიათ გამოიყენოთ გაჭრილი ბოსტნეული, ან უკვე მეორადი მასალები. რამდენი ნივთი ქმნის ნაირ-ნაირ ანაბეჭდს. თუ თქვენ გაქვთ დიდი ზომის ყავისფერი ქაღალდი, შეგიძლიათ დაამზადონ საჩუქრების შესაფუთი.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

საღებავი - ასორტირებული/სხვადასხვა ფერის, თუ შესაძლებელია
ქაღალდი
სახლში მოძიებული ნივთები
ბოსტნეული, საყოფაცხოვრებო ნივთები
საღებავების ჩასაწყობი
გაშლილი, ბრტყელი სივრცე ოთახში სამუშაოდ

რას ისწავლის ბავშვი?

ხელისა და თვალის კოორდინაცია
მიზეზ-შედეგობრიობა
ფერების ამოცნობა და ფერების ნარევი

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

შესაძლებელია სხეულის ნაწილებით ანაბეჭდების გაკეთებაც, მაგრამ ამ შემთხვევაში გირჩევთ ეს სააბაზანოში გააკეთოთ, რადგან ცოტა შეიძლება დაითხვაროს ირგვლივ. მიეცით ბავშვს საშუალება შემოგთავაზოთ ნივთები, აღმოაჩინეთ რა ანაბეჭდებს აკეთებენ. ამ პროცესით შესაძლებელია ენობრივი უნარების განვითარების ხელშეწყობაც. სთხოვეთ, აღწეროს რას ამსგავსებს ანაბეჭდს, რას ხედავს?

23

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე სახლში სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

შექმენი სამყარო

აქტივობის შესახებ

ამ აქტივობის შესრულება შეიძლება რამდენიმე დღის განმავლობაში. დაიწყეთ მუყაოს ბრტყელი ნაჭრით. ბავშვს შეუძლია გააკეთოს ბორცვაკები და მთები დაქუცმაცებული, დაკუჭული ქაღალდით, რომელსაც თქვენ დაამაგრებთ მუყაოზე სკოჩით, შემდეგ ერთად შეგიძლიათ დახატოთ გზები, მდინარეები, მინდვრები. ასევე, ბავშვს შეუძლია ააგოს შენობებიც მეორადი მასალებისგან, ჩადგას ხეები სახლში მოძიებული ნებისმიერი მასალისგან. დაეხმარეთ მას შექმნას სამყარო, რომელსაც თავად აკონტროლებს.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

დიდი მუყაოს ნაჭერი, ძველი გაზეთები ან მეორადი მასალები
საღებავები და ფუნჯები
მეორადი მასალები - მარცვლეულის ყუთები, ქსოვილის ყუთები, ძველი პლასტმასის ბოთლები, მაკრატელი, თეთრი წებო.
ნებისმიერი მასალა გასაფორმებლად, რაც გაქვთ, ტუალეტის ქაღალდის რულონები და სხვა.

რას ისწავლის ბავშვი?

დაგეგმარება, წარმოსახვა და ვიზუალიზაცია
წვრილი (ნატიფი) მოტორიკის უნარები
ორგანიზებულობა
თვითშეფასება
კონტროლი და იმედი შეგრძნება
შემოქმედებითობა

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

დაეხმარეთ ბავშვს ამ სამყაროს აგებაში, მაგრამ არ მართოთ ის, საშუალება მიეცით ბავშვს თავად მოახდინოს საკუთარი სამყაროს ვიზუალიზაცია. ამის შემდეგ, ბავშვს შეუძლია ითამაშოს სათამაშოებით მის მიერ შექმნილი სამყაროში და იამაყოს კიდეც ამით. ეს მის განვითარებას უწყობს ხელს და აღჭურავს ცხოვრებისეული უნარებით.

24

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი ითამაშე
სახლში სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

ფერადი ყინულის დნობა

აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა მოიაზრებს ფერადი ყინულის კუბურები დნობას წყალში და დაკვირვებას იმაზე, თუ როგორ საოცრად, იცვლება და ერთმანეთში ირევა ფერები მათი დნობისას.ეს ჯადოსნობაა, უბრალოდ ამ აქტივობისთვის წინასწარ მომზადებაა საჭირო. მაგ; დრო ფერებით შეზავებული ყინულის კუბურების მომსამზადებლად.

ამი შემდეგ შეღებილი ყინულები მოათავსეთ წყლით სავსე თეთრ, ან გამჭვირვალე თასში. დააკვირდით დნობის პროცესს, როგორ ერწყმის და ირევა ფერები ერთმანეთში. ამ აქტივობისთვის უმჯობესია გქონდეთ რეზინის/სილიკონის ფორმა ყინულის კუბურების შესაქმნელად, ბავშვს გაუადვილდება მისგან ყინულების ამოღება და განივითარებს ნატიფ მოტორიკას. ასევე ისწავლის, რას ნიშნავს ცივი და მოლიპული.

რა გვჭირდება?

საკვების საღებავები ან ჩვეულებრივი საღებავები
წყალი
ფორმების ყინულის კუბურების შესაქმნელად დიდი თასი ან კონტეინერი (სასურველია გამჭვირვალე ან თეთრი)

რას ისწავლის ბავშვი?

მიზეზ-შედეგობრიობა
მოთმინება და დაკვირვების უნარი
გარემოებების შეცვლის შედეგად, საგნებისა და მოვლენების (სახე)ცვლილება
სამეცნიერო აღმოჩენები
აღქმა და რეაგირება
გაოცება
მოქნილობას

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

უკეთესია, რომ მუქი ფერის საღებავი ბოლოს დაამატოთ, წინააღმედგ შემთხვევაში, ის ყველა ფერს გაამუქებს. მიეცით ბავშვს საშუალება შეიგრძნოს და დააკვირდეს ყინულის დნობის პროცესს და ფორმებს. აღწერეთ და ახსენით, რატომ დნება ყინული. ამით ის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს გაიაზრებს, ასევე დააკვირდება და აღმოაჩენს თუ რა არის ცხელი, ცივი, მყარი და თხევადი.

©createcatt 2020

25

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი სახლში ითამაშე სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

სპექტაკლობანა

აქტივობის შესახებ

წაახალისეთ ბავშვი, შეთხზას ამბავი, რომელიც მას მოსწონს და მიეცით მისი დადგმის სახით წარმოდგენის შესაძლებლობა. გამოიყენეთ ნებისმიერი რამ ჩაცმულობისთვის. ბავშვისათვის საკმარისია ისიც, რომ რამე შემოიცვას და შევიდეს მისი მოგონილი პერსონაჟის როლში. მიეცით მათ დრო დაგეგმვისათვის და რეპეტიციისთვის. ძალიან მოეწონება, თუ შექმნით წრიულ სცენას სკამებით. თუ შეძლებთ გადაუღეთ კიდეც, რომ თავადაც ნახოს მისი სპექტაკლი.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

ძველი ტანსაცმელი, ქსოვილის ნაჭრები, ძველი ქუდები და მოსასხამები/შარფები, აბრეშუმის ნაკუწები, ლენტები, ძველი ფეხსაცმელი და პლედები.
ხელჩანთები, პლასტიკური ჭიქები, ხელჯოხები.
ნებისმიერი სხვა სახის ფორმა ან ტანსაცმელი
მობილური ტელეფონი ან კამერა გადაღებისთვის

რას ისწავლის ბავშვი?

თავდაჯერებულობა
გამოხატვა
სოციალური უნარები
თანაგანცდა (ემპათია) სხვების გაგების უნარი

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

დაუკარით ტაში და გახსოვდეთ, რომ სასურველია სპექტაკლის შემდეგ გაესაუბროთ მასზე. ბავშვს შეუძლია შეიმუშავოს პროგრამა, მოაწყოს სცენა, წარმოიდგინოს თავი, როგორც კინოვარსკვლავი, ნებისმიერ პერსონაჟი რეალური თუ წარმოსახვითი, მას აქვს მრავალფეროვანი შესაძლებლობები თვითგამოხატვისა და აღმოჩენებისთვის. შესაძლოა დადგას მისი საყვარელი სატელევიზიო შოუ და სხვა.

26

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი სახლში ითამაშე სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

წრეზე შექმნილი ნახატი

აქტივობის შესახებ

ეს არის სახალისო აქტივობა ბავშვებისთვის, რომელთაც უყვართ ხატვა და განვითარებული აქვთ სიმბოლოური აზროვნება (ანუ შეუძლიათ საგნებსა და მოვლენებზე იფიქროს წარმოსახვით, სიმბოლოებით). აქტივობის თამაში შეიძლება იმ ბავშვებთანაც, რომელთაც დაწყებული აქვთ სიმბოლოების/ ნიშნების გამოსახვა. აქტივობის არსი იმაშია, რომ ერთ ნახატს ქმნით მორიგეობით თითოეული თითო დეტალის დამატებით. ჯერ ბავშვი დასვამს პირველ მონახაზს, შემდეგ თქვენ, შემდეგ ისევ ბავშვი. აქტივობა სახალისოა ორზე მეტ პირიან ჯგუფშიც. თითო ადამიანს აქვს თავისი ფურცელი, რომელზეც ხატავს მაგ. ადამიანის თავს კისრით. ეს ფურცელი სხვას უნდა გადასცეს. გადაცემადე კი თავის დახატული უნდა გადაკეცოს ისე, რომ თავი დაიფაროს და კისრის მცირე მონაკვეთი ჩანდეს. შემდეგი ადამიანი ამატებს სხეულს, შემდეგი - კიდურებს, შემდეგი - ხელებს ფეხებს და ა.შ. ბოლო ადამიანი ნახატს ასრულებს ტერფების მიხატვით.

რა გვჭირდება?

თეთრი ქაღალდის ფურცლები - თითო თითო ბავშვისთვის, პირისათვის
ფანქრები ან პასტელები

რას ისწავლის ბავშვი?

ჯერის/რიგის დაცვა
წვრილი (ნატიფი) მოტორიკა
მხედველობა
წარმოსახვა
ინტუიციის უნარი
შემოქმედებითობა და არავერბალური კომუნიკაცია

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

შეეცადეთ, არ დაეყრდნოთ მეტყველებას ამჯერად და ხელი შეუწყვეთ ბავშვის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს მიერ „განკარგულ'' უნარებს: შემოქმედობითობა, ინტუიცია, ვიზუალიზაცია.
თუ შექმნით ადამიანის ფიგურას, შეგიძლიათ დაარქვათ სახელი, ერთად გამოიგონოთ მისი ამბავი. ხშირად ძალიან სასაცილო ფიგურები გამოდის. კარგია ბევრი სიცილი!

©createcatt 2020

27

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY®

დარჩი სახლში დარჩი სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

ასოებით თამაში

აქტივობის შესახებ

ეს არის აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ენობრივი უნარის განვითარებას. აქტივობა იმ ბავშვებისათვისაა, ვინც უკვე იცის დამარცვლა, ასო-ბგერების ცნობა. დაასახელეთ ასო და წაახალისეთ ბავშვი შემოიაროს სახლი/ოთახი და მოიძიოს ის 4 ნივთი, რომელიც იწყება დასახელებულ ასოზე. მაგალითად, ასო-ბგერა „ს“, მათ უნდა იპოვონ სარკე, სკამი, სათამაშო და სათლი! დაასახელეთ სხვა ასოებიც და დაასახელეთ ნივთების სხვა რაოდენობებიც, იმის მიხედვით, თუ რამდენად გავრცელებულია ეს ასო!

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

არ არის საჭირო სპეციალური მასალები, საჭიროა მხოლოდ დაკვირვებულობა და ასოების ცნობის და დამარცვლის უნარი.

რას ისწავლის ბავშვი?

წიგნიერება და მათემატიკური უნარები
მოთმენა
მეხსიერება
საგნების ცნობა
მხედველობის უნარები
პრობლემების გადაჭრის უნარი

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

თუ ეთამაშებით ერთზე მეტ ბავშვს, დანიშნეთ დრო, ვინ უფრო, მალე იპოვნის დასახელებული რაოდენობის ნივთებს დასახელებულ ასაოებზე. შეგიძლიათ შეთანხმდეთ დამატებით ქულებზე, თუ შემალულ ნივთებს იპოვნის ბავშვი. მიეცით მათ საშუალება მათად დაასაელონ ასო თქვენთვის. ბავშვებს მოსწონთ იმის დანახვა, რომ თქვენ მზად ხართ გამოწვევისთვის!

28

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი სახლში ითამაშე სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

თეფშზე შექმნილი სამყარო

აქტივობის შესახებ

ხომ ამბობენ საჭმლით თამაში არ შეიძლებაო, მაგრამ ეს აქტივობა შესანიშნავი გზაა წარმოსახვის და არასტანდარტულად აზროვნების განსავითარებლად. შექმენით მითიური სამყარო თქვენი სადილისაგან, ან სხვა საკვებისგან, ბოსტნეულისგან, თეფშზე. მაგალითად, კარტოფილი ვითომ ლოდებია, ბროკოლი - ხეები, არაჟანი, - ფუმფულა ღრუბლები, ბრინჯი კი კენჭებია სანაპიროზე. რა შეიძლება იყოს ცხარე სოუსი, ან კეტჩუპი? დაეხმარეთ, ბავშვს შექმნას გემრიელი ამბავი.

რა გვჭირდება?

ნებისმიერი საკვები, რომელიც სახლში გაქვთ, ან თქვენი სადილი.

ვიდეო ჩამწერი, ან მობილური ტელეფონი ნამუშევრის სამახსოვრო ფოტოს გადასაღებად, თუკი ბავშვები მოისურვებენ.

რას ისწავლის ბავშვი?

წარმოსახვა და შემოქმედებითობა
არასტანდარტული აზროვნება
პრობლემების გადაჭრა
ენობრივი უნარები
დაგეგმვა და ვიზუალიზაცია

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

თუკი ბავშვი შექმნის გასაოცარ ისტორიებს თეფშზე შექმნილ სამყაროზე, შეგიძლიათ გააგრძელოთ ეს თამაში და სთხოვეთ მას, დახატოს ეს სამყარო, ასევე შეგიძლიათ, შეეკითხოთ, თუ რა მოხდება შემდეგში, „მიამბე მეტი ამ სამყაროს პერსონაჟების შესახებ?“ „როგორები არიან ისინი? “რა ხდება მათ თავს?” თქვენ აღმოაჩენთ სრულად ახალ წარმოსახვით სამყაროს.

©createcatt 2020

29

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი სახლში ითამაშე სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

ქაღალდის ქუდები

აქტივობის შესახებ

ეს არის როლური და წარმოსახვითი თამაში. ბავშვი იყენებს გაზეთებს, ან ნებისმიერ სხვა ქაღალდს ქუდის დასამზადებლად. როგორი ტიპის ქუდი მოსწონს? მზარეულის ქუდი? გვირგვინი? ჯადოქრის ქუდი? წაახალისეთ ბავშვი, რომ ჩაიხედონ სარკეში ახალი დამზადებული ქუდით თავზე და გაესაუბრონ ახალ მეს. სახალისო და შემოქმედებითი თამაშია სხვადასვა ტიპაჟების აღმოსაჩენად. თუ ბავშვს სურს, შეუძლია გააფერადოს ქუდი, გააფორმოს სხვადასხვა დეტალით.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

გაზეთი ან ნებისმიერი სხვა უბრალო ფურცელი
მაკრატელი
სკოჩი ან სტეპლერი
პასტელები ან მარკერები
სარკე

რას ისწავლის ბავშვი?

თვითგამოხატვა
თანმიმდევრულობა, დაგეგმვა და პრობლემების გადაჭრა
წარმოსახვა და მოქნილობა
როლის გათავისება
თავდაჯერებულობას და თვითგაცნობიერება

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

თუ ქუდის გაკეთებაში დახმარება სჭირდება ბავშვს, შეაშველეთ ხელი. შესაძლოა, მათ მოეწონოთ სურათის გადაღება ახალ ქუდებში. სამახსოვრო ფოტოს გადაღებაც ესიამოვნებათ ალბათ. გადაუღეთ, თუ ამის სურვილი აქვთ!

30

CREATECATT DEVELOPMENTAL PLAY

დარჩი სახლში ითამაშე სახლში

World Vision GEORGIA

ქართულ ენაზე ითარგმნა World Vision საქართველოს მიერ, 2020

სახალისო სიმღერები

აქტივობის შესახებ

ეს სახალისო საოჯახო თამაშია, სადაც შესაძლებლობა გაქვთ, ითამაშოთ, ხმებით მელოდიებით, სიტყვებით, რიტმით. ეს თამაში ყველა ასაკის ბავშვთან შეგიძლიათ ითამაშოთ. იფიქრეთ რომელიმე ხმაზე, ან მელოდიაზე, გაახმოვანეთ ამ ხმით, ან მელოდიით ერთი სიტყვა, შემდეგ ეცადეთ გალექსოთ ეს სიტყვა. სცადეთ სხვადასხვა მელოდია, რიტმი ხმები, სიტყვები.

შექმენით სახალისო სიმღერები: მაგ., ,,ციყვი, მიყვი, ნიყვი'', ,,ბუმ, ბუმ, დუმ, დუმ პაც'' ☺ და ა.შ.

©createcatt 2020

რა გვჭირდება?

თქვენი ხმა

ინსტრუმენტები, საყოფაცხოვრებო ნივთები, სურვილისამებრ

რას ისწავლის ბავშვი?

გამეორება/მიბაძვა

მოსმენა

თვითგამოხატვა

თავდაჯერებულობა

ენობრივი უნარები

ჯერის/რიგის დაცვა

მოქნილობა

რჩევები საუკეთესო შედეგისათვის

უბრალოდ გაერთეთ ამ თამაშით, განავრცეთ და გაამრავალფეროვნეთ ის, როგორც შეგიძლია და ნახეთ, რა მოხდება. შეგიძლიათ თანმხლები მუსიკაც შექმნათ, გამოიყენეთ ტაფები, ქოთნები და კალათები, როგორც დასარტყამი ინსტრუმენტები. იხალისეთ.